რესურსი-წოდებრივ-წარმომადგენლობითი ორგანოები

რეფლექსია

რესურსი შემნილია მე-7 კლასის მოსწავლეებისათვის

რესურსის ავტორი-სსიპ ილია ჭავჭავაძის სახელობის საჩხერის #2 საჯარო სკოლის ისტორიის მასწავლებელი ნათელა მაჭარაშვილი

რესურსი ,,წოდებრივ-წარმომადგენლობითი ორგანოები''შევქმენი სწორედ მაშინ, როდესაც შესაბამისი თემა გავიარეთ,რათა მომდევნო გაკვეთილზე მოსწავლეების ცოდნა მათთვის საინტერესოდ და განსხვავებული ფორმით შემემოწმებინა.

მიზანი-მოსწავლეები შეეცდებიან სხვადასხვა ქვეყნის წოდებრივ-წარმომადგენლობითი ორგანოების შესახებ კონკრეტული ინფორმაციის შეჯერებას.

ესგ-ის სტანდარტი-ისტ.VII.1.მოსწავლეს შეუძლია დააკავშიროს ფაქტები და მოვლენები შესაბამის ისტორიულ ეპოქებთან;

ისტ.VII.8.მოსწავლეს შუძლია სხვადასხვა წესი,, ნორმა ,კანონი და ტრადიცია განასხვაოს ამა თუ იმ ისტორიული ეპოქისადმი მათი კუთვნილების მიხედვით;

სამიზნე ჯგუფის მოსწავლეთა თავისებურებები ამ რესურსში გათვალისწინებულია. რესურსი აგებულია ბავშვებისათვის მეტად საყვარელ კომპიტერულ თამაშზე ,,მარიო'',რომელიც მოვარგე საგაკვეთილო თემას.მოსწავლეები ერთი მხრივ, დაინტერესდებოდნენ,მეორე მხრივ კი მათგან მივიღებდი თემატურ ინფორმაციას.

წინა გაკვეთილზე მოსწავლეებს მიცემული ჰქონდათ დავალება, რომ სხვადასხვა ქვეყნების შესახებ(საქართველო,თურქეთი, ინგლისი,საფრანგეთი,გერმანია, ესპანეთი რუსეთი) მოეძიებიათ ინფორმაცია წოდებრივ-წარმომადგენლობითი ან უბრალოდ წარმომადგენლობითი ორგანოებისა და მათი სპეციფიკის შესახებ,რათა მომდევნო გაკვეთილზე მათი საერთო მახასიათებლები გამოეყოთ და განმასხვავებელი ნიშნებიც ეპოვათ და ,რაც მთავარია, მათი როლისა და მნიშვნელობის შესახებ ემსჯელათ.

-მოსწავლეები დავყავი ტრიადებად;

-თითოეულ ტრიადას მიენიჭა შესაბამისი ნომერი(ფარული კენჭისყრით);

-რესურსში ,,მარიო''პირველად რომელ წარმომადგენლობით ორგანოს მიადგება, მასზე ინფორმაციას პირველი ნომრის მფლობელი ტრიადა გააკეთებდა(ინფორმაციაში იგულისხმებოდა ქვეყანა,სპეციფიკა, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები...), მეორე ნომრის მფლობელნი -მეორედ რომელ წარმომადგენლობით ორგანოს მიადგებოდა და ა.შ.

-ყველა ტრიადას კლასისათვის უნდა წარედგინა შესაბამისი ინფორმაცია;

-ყველა ტრიადას ასევე უნდა ჩაენიშნა ის ხარვეზები, რაც დაფიქსირდა სხვა ტრიადის მიერ, რომელსაც განვიხილავდით მას შემდეგ, რაც ყველა ტრიადის მიერ იქნებოდა ინფორმაცია მოწოდებული;

-მოსწავლეებს უნდა გამოეყოთ ყველა ქვეყნის წოდებრივ-წარმომადგენლობითი ორგანოების საერთო და განმასხვავებელი ნიშნები და ერთი წინადადებით შეეფასებინათ მათი მნიშვნელობა მათსავე ქვეყანაში.

ამ რესურსის გამოყენება შეუძლიათ ამ სახით ისტორიისა და გეოგრაფიის მასწავლებლებს ანალოგიურ თემებთან კავშირში. ასეთი თემა ისწავლება ისტორიაში მე-11 კლასში ცოტა გავრცობილი სახით.მოდიფიცირებული სახით კი ყველა საგნის მასწავლებელმა შეიძლება გამოიყენოს სხვადასხვა თემებთან მიმართებაში.ვთვლი, რომ ის განსაკუთრებით საინტერესო იქნება დაწყებითი კლასის მოსწავლეებისათვის.მაგ. ქართულის მასწავლებლებმა შეიძლება გამოიყენონ კონკრეტული პერსონაჟების შესახებ ინფორმაციის მოწოდების თვალსაზრისით და ა. შ.

სამიზნე ჯგუფი აქტიურად იყო ჩართული საგაკვეთილო პროცესში ამ რესურსის გამოყენების დროს,რადგან მოსწავლეებს წინასწარ მიცემული ჰქონდათ ინსტრუქცია, რომელიც მათ ყურადღების მოდუნების შესაძლებლობას არ აძლევდა, ვინაიდან ტრიადებს უნდა ეპასუხათ არა მხოლოდ იმ საკითხის შესახებ, რომელიც ნუმერაციის მიხედვით მათ შეხვდათ, არამედ სხვა ტრიადის მიერ დაშვებული შეცდომებიც უნდა დაეფიქსირებინათ.

ამ რესურსმა ხელი შეუწყო შემდეგი უნარების განვითარებას:

-რესურსიდან ინფორმაციის ამოცნობის;

-ამოცნობილი ინფორმაციის შინაარსობლივი განხილვის;

-ინფორმაციის შეჯერების;

-ამოცნობილი ინფორმაციის შესაბამის ისტორიულ ეპოქასთან და ქვეყანასთან დაკავშირების;

- ინფორმაციის შედარებისა და ანალიზის უნარი;

რესურსის გამოყენების დროს პრობლემა არ დაფიქსირებულა.

აღნიშნული რესურსის გამოყენებამ ჩემს პედაგოგიურ პრაქტიკაში შეცვალა ის, რომ ყველა გაკვეთილზე ვცდილობ მოსწავლეებს ნებისმიერი თემა საინტერესოდ მივაწოდო,თანაც ჩემ მიერ მიწოდებული მასალა სიახლის შემცველი იყოს,რათა მოსწავლეთა ინტერესიც გამოვიწვიო და ,შესაბამისად,მათ მოტივაციაც გაიზარდოს .

რესურსის ნახვა შეგიძლიათ შემდეგ ლინკზე:

https://www.blogger.com/video.g?token=AD6v5dwwAbnzB8QGwHCsr9KPZQQyTdcVdiVYC1yn0Taha9FNroAVUAfFZ6QBMRXAzhEZcl_E4JWkXmhAKaejVzzj6V_aadC8xWuwTFSmaszPRhxg44TNHmqewvR9a-oQjtnH4qYkpik

რესურსში დამოყენებული მასალა:

https://www.youtube.com/watch?v=ZBZPghE3O5Q